მწყემსი

მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჴსდვის ცხოვართათვის. (იოან. 10—11).

ვპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11—28).

№ 14 **1883—1894** **15—30 იულისს.**

შინაარსი: კიდევ ჩვენი საღმრთო და საეკკლესიო წიგნების ბეჭდვის შესახებ აღძრული კითხვისა გამო.—პედაგოგიური შენიშვნები სამრევლო სკოლის მასწავლებელთა საყურადღებოდ.—მნიშვნელობა მოვალეობისა და სიყვარული ჭეშმარიტებისადმი.—საისტორიო მასალა.—პასუხი ნ. ნიკოლაძის მოსარჩლეს ბ. დ. დევიძეს.—ახალი ამბები და შენიშვნები.—ღვთისმშობლის მიძინება (ლექსი).—საეჭვო კითხვების განმარტება.—შეწირულებანი.—კალენდარული ცნობა.

კიდევ ჩვენი საღმრთო და საეკკლესიო წიგნების ბეჭდვის შესახებ აღძრული კითხვისა გამო.

აგერ ორი-სამი წელიწადი გადის, თითქმის, მას აქეთ, რაც კითხვა აღძრეს, რომ ჩვენი საეკკლესიო წიგნების ბეჭდვა მოსკოვში გადატანილიყო. ამას ზოგიერთები იმ მოსაზრებით ურჩევდენ, რომ ჩვენი წიგნების ბეჭდვა, ვითომ, უფრო გაადვილდებოდა და წიგნებიც უფრო იაფად დაიბეჭდებოდა. მეორე საბუთი ჩვენი საეკკლესიო წიგნების ბეჭდვის გადატანისა მოსკოვში, ვითომც, ის იყო, ზოგიერთების აზრით, რომ მოსკოვის სტამბაში ის შეცდომები აღარ მოხდებოდა ჩვენს წიგნებში, რომელიც, ვითომც, თფილისის სტამბებში ხდება ხოლმე. ამ კითხვის შესახებ არა ერთჯერ გამოგვითქვამს ჩვენ ჩვენი აზრი საქვეყნოდ და ვინც თვალყურს ადევნებდა ჩვენ სტატიებს, ის, დარწმუნებული ვართ, კარგად შეიტყობდა ამ საქმის გარემოებას.

საქართველოის სინოდალნი კანტორას დღეს განუზრახავს ოთხი საეკკლესიო წიგნის დაბეჭდვა და ამიტომ ჭკრებს საჭირო ცნობებს, თუ რამდენად დაუჯდება მასს ამ ოთხი წიგნის დაბეჭდვა. დასაბეჭდი წიგნებია შემდეგი: მარხეანი, კონდაკი, ქმები და ახალი აღთქმა. ვიდრემდის ამ წიგნების ბეჭდვას ჯერ კიდევ არ შესდგომიან, ვისწრაფოთ, რომ რამდენიმე ჩვენი მოსაზრება გამოვსთქვათ საზოგადოების წინაშე ჩვენი საეკკლესიო და საღმრთო წიგნების ბეჭ-

ლვის გაიაფების და გაადვილების შესახებ. ვინაც ჩვენი ეკლესიების სიდარიბე იცის, დარწმუნებული ვართ, ის ყოველთვის ისურვებს, რომ საეკლესიო წიგნები, რაც შეიძლება, იაფად იბეჭდებოდეს. ამისათვის, ვგონებთ, ჩვენი მოსაზრება და რჩევა უადგილო არ იქნეს.

ცხადია, რომ დღეს ბევრად უფრო ნაკლებ ფასად დაიბეჭდება ჩვენი საეკლესიო წიგნები ჩვენშივე, ვიდრე მოსკოვში. ეს ადვილი წარმოსადგენია. 30-40 წლის განმამავლობაში სტამბებში ბევრი ცვლილება მოხდა; ამ ცვლილებათა წყალობით წიგნების ბეჭდვის და ქაღალდის ფასმა დაიწია. ამათ გარდა არის კიდევ სხვა ღონის ძიება, რომლის წყალობით წიგნების ფასი კიდევ უფრო ძლიერ დაიწევს. რა ღონის ძიებაა, რომელიც წიგნების ბეჭდვას აადვილებს? პირველი ღონის ძიება არის ის, რომ წითელი ფერის ასოების ბეჭდვა მოვსპოთ წიგნებში და სატიბიკონე სიტყვების ასოები ასოებითვე განვასხვავოთ. მოგეხსენებათ, რომ წინეთ ჩვენში საეკლესიო წიგნებს სულ შავი ფერით ბეჭდავდენ და შიგ ჯ შიგ ტიბიკონის განსამარტებელი სიტყვების ასოები კი განსხვავდებოდა მომცრო ასოებით. ამას ცხადათ ამტკიცებენ ჩვენს ეკლესიებში დაშთენილი დღემდისინ და დღესაც სახმარი ძველი საეკლესიო წიგნები: კონდაკი, სადღესასწაულო შემოკლებული, დიდი კურთხევანი და სხვანი.

არ ვიცით, რისთვის შემოიღეს სინგურით ბეჭდვა სატიბიკონე სიტყვებისა შიგა და შიგ? ხშირად ხედავთ, რომ მთელ ორ გვერდზე ერთი ასო არის მარტო სინგურით დაბეჭდილი და სხვა სულ შავი ფერით. ზოგიერთები ამბობენ რომ სინგურით თუ არ არის წიგნში შიგა და შიგ სატიბიკონე სიტყვები დაბეჭდილიო, რაღაცა შნო არა აქვს წიგნებსაო; ამას გარდა წასაკითხავი სიტყვები თუ არ გაირჩა სატიბიკონე სიტყვებისაგანაო, შეიძლება მკითხველი წასცდეს და ტიბიკონის განსარმატებელი სიტყვებიც წაიკითხოსო. შნოის და სილაზათის შესახებ თუ ვიტყვით, ჩვენ ვგონებთ, უკვეთესი იქნება, რომ ოქროთი იყოს მოვარაყებული წიგნ ს ასოები. მაგრამ ჩვენ აქ ყურადღება უნდა მივაქციოთ ეკლესიების შეძლებას. რას აშავებდა, მაგალითებრ, ან რას აშავებს დღეს ის წიგნები, რომელნიც სინგურით არ არის ნაბეჭდი შიგა და შიგ, არამედ სინგურის მაგიერ მომცრო ასოებით განსხვავდება საკითხავი არა წასაკითხავი— საგან? მკითხველი, რომელმანც წიგნის კითხვა და ტიბიკონი იცის, არასოდეს არ წაიკითხავს ეკლესიაში იმას, რომელიც წასაკითხი არ არის. რომელიც უვიცია კითხვაში, მისთვის ერთია, რომელი ასოებითაც უნდა იყოს დაბეჭდილი.

მოსკოვის სინოდის სტამბაში შიგა და შიგ საეკლესიო რუსული წიგნები სინგურით იბეჭდებაო, ამბობენ. მართალია, სლავიანურ ენაზედ საეკლესიო წიგნები შიგა და შიგ სინგურით იბეჭდებიან, მაგრამ იქვე ყველა წიგნები თითქმის შავი ფერითაც იბეჭდებიან და სინგურის მაგიერ ორ სხვა და სხვა ასოს ხმარობენ გასარჩევად. შეძლებული ეკლესიები ძვირფასს წიგნებს ყიდულობენ და შეუძლებელი კი იაფ ფასიანს. ამას გარდა მოსკოვის სინოდის სტამბაში დღეს მოპოებულია ისეთი საბეჭდავი მანქანა, რომ ერთსა და იმავე დროს ორი ფერით იბეჭდება წიგნები. მაგრამ ჩვენ მათი წახედვა არ გვარგებს, რადგან ამისთანა მანქანა თფილისში არ მოიპოვება და მისი მოპოვებაც ძვირად დაჯდება; ამას გარდა არც ერთ სტამბას არ მისცემს ხელს ისე მცირე რიცხვი ბეჭდოს წიგნებისა, როგორც ჩვენი საეკლესიო წიგნები იბეჭდება. ვგონებ 1860 წელშია დაბეჭდილი «თვენი» დღესასწაულებისა 850 ცალი და ოცდა თუთხმეტი წლის განმავლობაში გაყიდულა რაღაც ას ორმოცდა ათი ცალი და ამდენი წიგნების დასაბეჭდი ფასი უსარგებლოდ არის გაჩერებული. ამისათვის საჭიროა, რომ სინგურის ნაცვლად ვიხმაროთ ათი ნომრის ასო და ერთი ფერით იბეჭდებოდეს თუ ყველა არა, ზოგიერთი საეკლესიო წიგნები მაინც, რომ ამით ჩვენი წიგნები გაიაფდეს. სინოდის სტამბას მეათე ნომერი ხუცური ასოებისა არ ჰქონდა და 60 წლებში არც არსად იშოვებოდა, მაგრამ დღეს, მადლობა ღმერთს, ეს ასოები იშოვება და რიგია ვისარგებლოთ მით.

წიგნების სიიაფე ძლიერ დამოკიდებულია ქაღალდზედაც. ქაღალდი უნდა იყოს სქელი და მტკიცე და მის თეთრ ფერს მაგდენად ყურად-

ლებას არ უნდა ვაქცევდეთ. წინეთ ჩვენი წიგნები მოლურჯო და მოშავო სქელ ქაღალდზედ იბეჭდებოდა. ამ ბოლო დროს კი ისეთ თხელ ქაღალდზედ დაიწყეს ბეჭდვა, რომ ხუთ ექვს წელს იქით ფურცლები იხევა და წიგნები ფუჭდება. თეთრი ქაღალდი ძვირია და არც იმდენად მტკიცეა, როგორც მოშავო ქაღალდი. რიგია ამაზე ყურადღება იქნეს მიქცეული.

საჭიროა ყურადღება მიექცეს დასაბეჭდავი წიგნების რაოდენობას და მის დაკაზმას. დიდი ხანი არ არის, რაც ქამნი და კონდაკი დაიბეჭდა. ეხლა საჭირო შეიქნა ისევე მათი დაბეჭდვა. ჩვენ სრული დარწმუნებული ვართ, რომ ეს წიგნები დაბეჭდილიყო სამი ათასამდინ, დღეს მათი დაბეჭდვა საჭირო ადარ შეიქნებოდა და მათი ფასიც ნახევარზედ უფრო ნაკლები იქნებოდა. მაგალითებრ სინოდის კანტორას დაუჯდა ქამნი სამ მანეთად, კონდაკი ორ მანეთად და ოთხ აბაზად.

წიგნების დაკაზმვას, ყდის გაკეთებასაც დიდი ანგარიში აქვს წიგნების სიიაფე-სიძვირეზედ. წიგნები შეიძლება ბევრი დაიბეჭდოს, მაგრამ დაკაზმით ხუთას-ხუთასის მეტი არ უნდა დაიკაზმოს. როდესაც დაკაზმული წიგნები გაიყიდება, შემდეგ კიდევ უნდა დაიკაზმოს ხუთასი და ისე შემდეგ. ამასთან ყოველთვის უნდა იყოს დაუკაზმავი წიგნებიც გასასყიდელი. ხშირად ბევრია მსურველი, თვითონ დააკაზმინოს წიგნი თავის სურვილისამებრ. ამ შემთხვევაში, თუ დაუკაზმავი წიგნები იქნება, არც მყიდველი და არც გამყიდველი წაგებული ირ იქნება.

ათ თუთხმეტს წელს იქით კარგი ყდაც რომ ჰქონდეს წიგნს, მაინც გაფუჭდება, თუ მშრალ ადგილას არ არის წიგნთა საწყობი და, რასაკვირველია, საზარალო იქნება დიდი ხნით გაკეთება ყდისა მყიდველისა და გამყიდველისათვისაც. აიღეთ, მაგალითებრ, მოსკოვში დაბეჭდილის თვენის ყდის ფასი. ეს ცოტა ფულს არ შეადგენს და ეს ფულები ხომ უსარგებლოდ არის აგერ ოცდახუთმეტი წელიწადი?. ამ ყდებში დანახარჯი ფულები დღემდისინ ერთი-ორად იქცეოდა და დღეს მათგან ერთი ფარა სარგებელიც არ არის; ვინ იცის, შეიძლება დღეს ამისთანა ყდის გაკეთება უფრო იაფიც დაჯდებოდა.

აი ჩვენი მოსაზრება; არ ვგონებთ, რომ ეს ჩვენი მოსაზრება უსარგებლო და უადგილო დარჩეს, თუ საქმეს კარგად გამოვიკვლევთ.

დეკ. დ. ღამბაშიძე.

პედაგოგიური შენიშვნები სამრევლო სკოლის მასწავლებელთა საყურადღებოდ.

დედა-ენა, მისი მნიშვნელობა, ზომები დედა-ენის სასწავლოდ პირველ დაწყებით საერო და სასულიერო სკოლებში.

(წერილი მერვე).

დასავლეთ ევროპის და რუსეთის ყველა გამოჩენილი პედაგოგები პირველ დაწყებით სკოლებს სხვა ნაირად დედა-ენის სკოლებს ეძახიან. დედა-ენაო, ამბობენ საპატიო პედაგოგები და მეცნიერები, არისო დედა-ბოძი, საძირკველი, რომელზედაც უნდა იყოს დამყარებული, დამკვიდრებული სხვა საგნების შესწავლა. ერთი ჩვენი ნიჭიერი მწერალთაგანი სრულის სინამდვილით ამბობს ქართველი დედის პირით: «მერწმუნე, რომა გამოცდილია, თუ საძირკველი დანგრეულია, მაშინ კედლების აშენებისთვის ყოველი შრომა დაკარგულია»—დიაღ, თუ დედა-ენა რიგიანად არ ესმის ბავშს, ისე სხვა საგნების სწავლება არაოდეს ნაყოფიერი არ იქმნება. უშინსკი, რუსების შესანიშნავი პედაგოგი, ისე მტკიცედ და სამართლიანად ლაპარაკობს დედა-ენის მნიშვნელობის შესახებ ხალხისათვის, რომ აქ საჭიროდ მიმაჩნია მისი უტყუარი აზრი ამ საგანზე პირ და-პირ გადმოვიღო. „დედა ენაო, ამბობს უშინსკი, არის საუკეთესო ყველაფერი ერის ცხოვრებისა, ისეთი დაუმჭკნარი ყვავილი, რომელიც მუდამ, შეუწყვეტლივ იფურჩქნება. დედა-ენაში იხატება მთელი ერი და მისი სამშობლო, დედა-ენაში ერის შემოქმედების ძალის წყალობით, იქცევა აზრად სურათად და ხმად ცა სამშობლოსი, მისი ჰაერი, მისი ფიზიკური მოვლენანი, მისი ჰავა, მისნი მინდორ-ველნი, მთანი და ღელენი, ტყენი და მინდორნი, ველა-ჭექანი და ქარიშხალნი, იხატება

მთელი ის ღრმა, საესე აზრით და გრძნობით ხმა სამშობლო ბუნებისა, რომელიც ისე ხმა მაღლა ჰღალადებს კაცის სიყვარულში მის ხშირად ველურის სამშობლო ქვეყნისადმი, სამშობლო ჰანგებში, სიმღერებში, სახალხო პოეტების პირში. დედა ენის კამკამა სიღრმეში იხატება არა მარტო ბუნება სამშობლო ქვეყნისა, არამედ მთელი ისტორია ერის სულიერის ცხოვრებისა; თაობანი ერთი მეორის შემდეგ ჰქრებიან, მაგრამ ნაყოფი მათის მოქმედებისა რჩებიან ენაში ჩამამავლობის საკუთრებად. დედა-ენის სალაროში სტოვებენ თაობანი ერთი მეორის შემდეგ ნაყოფსა: გულის ღრმა მოძრაობისას, ისტორიულის მოქმედებისას, სარწმუნოებისას, აზრისას; სტოვებენ კვალთა გამოელილის სიხარულისას და მწუხარებისას, ერთის სიტყვით მთელი ნაშთსა და ნაყოფსა თავის სულიერი ცხოვრებისას ხალხი იცავს და ინახავს დედა-ენაში. დედა-ენა არის უცხოველესი და უმტკიცესი კავშირი, რომელიც აერთებს წარსულთა, ცოცხალთა და მომავალთა თაობათა და ჰხდის მათ ერთს დიდს, ისტორიულ ცოცხალ ორგანიზმად. იგი არა თუ გამოხატველია ხალხის სიცოცხლისა, იგი არის თვითონ ეს სიცოცხლე, როდესაც ქრება ერის ენა, ერი აღარ არსებობსო». ჩვენი სახელოვანი პოეტი გ. ორბელიანიც ამას ლაღადებს: «ერის ცხოვრება, მისი დიდება, მისი ისტორია, დაცულ არს ენით: რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს, წაეცხოს ჩირქი საყდარსა წმიდას». უშინსკის სიტყვით დედა ენა არის აგრეთვე უდიდესი მოძღვარი ერისა. როცა რომელიმე თაობა სწავლობს დედა-ენასა, იგი იძენს აზრსა და გრძნობის ნაყოფს ათასის წინანდელის თაობისას, რომელნიც დიდი ხანია მიწად არიან ნაქცევნი. რაც კი უნახავთ და გამოუცდიათ, რაც კი უგრძნიათ და უფიქრნიათ ამ აურაცხელ წინანდელ თაობათა გადაეცემა ბავშსა დედა-ენის შუამავლობით ადვილად და უშრომელად და ბავში უდიდესი ძალით აღჭურვილი შედის ცხოვრებაში.

«როდესაც ბავში სწავლობს დედა-ენას იგი გარეგან ნიშნებს და ხმებს როდი ითვისებს—იგი სვამს სულიერ სიცოცხლეს და ძალას დედა-ენის სამშობლოს ძუძუდგან. დედა-ენა უხსნის ბავშს ბუნებას ისე, როგორც ვერ აუხსნიდა მას ვერც ერთი ბუნების მეტყველი, იგი ასწავლის მას ხასიათს ადამიანებისას, რომელნიც გარს არტყიან, საზოგადოებისას, რომელშიდაც ბავში ტრიალებს, მის ისტორიას და მის მისწრაფებათა ისე, როგორც ვერ ასწავლიდა მას ვერც ერთი ისტორიკოსი. მას შეყავს ხალხის რწმუნების და პოეზიის ტაძარში ისე, როგორც ვერ შეიყვანდა ვერც ერთი ესტეტიკოსი. დედა-ენა შესძენს ბავშს აზრს იმისთანა ლოგიკურ შენობათა და ფილოსოფიურ შეხედულებათა, რომელთაც მას ვერ შეაძენინებდა ვერც ერთი ფილოსოფოსი და სხვ.»

ამ ზემო მოყვანილი ვრცელი ციტატიდამ ნათლად სჩანა, თუ რა მნიშვნელობა ჰქონია დედა-ენას რომელიმე ერის არსებობისათვის. პირველ დაწყებით სკოლებში დედა-ენის სწავლების მიზანი იმაში უნდა მდგომ რეობდეს, რომ ბავშს ცხადათ ესმოდეს, გაეგებოდეს ლიტერატურული ენა და თვითონაც ხმარობდე მას, როგორც წერაში, ისე ზეპირ ლაპარაკშიაც. თუ პირველ დაწყებითი სკოლის ბავშს კარგათ გაეგება თავის წლოვანებასთან შედარებული თხზულებათა შინაარსი, სწორად ესმის სხვისი აზრი და თვითონაც კანონიერად გამოხატავს თავის საკუთარ აზრს, იმ შემთხვევაში ეტყობა, რომ ბავშს შეუძენია დედა-ენის შესასწავლად უსაჭიროესი ელემენტები. მაშასადამე რამოდენიმე წლის სწავლების შემდეგ სასწავლებელმა უნდა იქნამდის მიიყვანოს მოწაფე, რომ მას ჰქონდეს განვითარებული გონება, ცხადი წარმოდგენილობა გარშემორტყმულ ბუნებაზე, განვითარებული მოსაზრება, გულის ზრახვა, მეხსიერება და გრძნობები და როგორც ყველა ამის შემდეგი—კარგად უნდა ესმოდეს განათლებული ზეპირი და წერითი სიტყვა-პასუხი.

ერთი უსაჭიროესი დიდაქტიური მოთხოვნილებათაგანი, როგორც ყველა საგნების, ისე დედა-ენის სასწავლებლადაც, არის თან-და-თან სწავლება უნდა იწყებოდეს იმ გონებითი განვითარებიდგან, ცოდნიდან, რომელიც უკვე შეძენილი აქვს ბავშს და აქედგან უნდა გაუძღვეს წინ. ბავშს აქვს მცირე წარმოდგენილება იმაზე, რასაც დაჰკვირვებია და უნახავს, ახალ წარმოდგენილობას იძენს ბავში თანდა თან ახალ შთაბეჭდილებათა შეგროვების დაგვარად, მაშა სადამე სწავლების დასაწყისი და მსვლელობა უნდა იწყებოდეს იქიდამ, რაც ყმაწვილს კარგად შეუძენია შთაბეჭდილებათა საშუალებით, რომელნიც მიუცია მისთვის გარშემორტყმულ ცხოვრებას. ამის მიხედვით პირველ დაწყებით სკოლებში წერა-კითხვის სწავლა უნდა იწყებოდეს მოკლე წინა-

დადებებიდგან, რომლებშიდაც ცხადათ სჩანს სიტყვების ურთი ერთშორისა კავშირი და გრამატიკული დამოკიდებულებანი. ეს წინადადებანი უნდა დაიყოს სიტყვებად, შემდეგ მარცელებად და ხმებად. როდესაც მასწავლებელი იწყებს და შეუდგება სწავლებას ბავშის მიერ ცნობილი ფაქტებიდგან, ის უნდა წარუძღვეს სწავლების საქმეს შეუცდომელად და შეუფერხებლად; ამასთანავე მასწავლებელს ყოველთვის სახეში უნდა ჰქონდეს, რომ ახალი ცოდნა, სწავლა, რომელიც გადაეცემის ბავშს, მჭიდროთ იქმნას შეკავშირებული იმ დაკვირვება-ცოდნასთან, რომელიც ბავშს უკვე შეძენილი აქვს. ახლად შეძენილი ცოდნა ძველ გონებრივ მასალასთან, თავის მხრით, უნდა შეადგენდეს წყაროს და საფუძველს შემდეგის დასკვნისათვის. მაგალითად ვსთქვათ—წერა-კითხვის სწავლების დროს ბავშმა გაიგო, რომ გამოთქმული აზრი, ანუ წინადადებანი შესდგებიან სიტყვებისაგან, მაშასადამე სიტყვა ყოფილა წინადადების ნაწილი. აქ პედაგოგიური შედგომილობის მოთხოვნილებით უნდა გადავიდენ სიტყვების მარცელებად და არა ხმებად დაჰყოფაზე, როგორც ზოგი მასწავლებელი შვრება ხოლმე. დიდადიქტური წესების და მოთხოვნილების დარღვევა ხშირად მოსდით მოუმზადებელ და გამოუცდელ მასწავლებლებს და ეს შეადგენს იმის უმთავრესს მიზეზს, რომ ბავშს კარგად არ ესმის გადაცემული ცნობები. იმის ნაცვლად, რომ მასწავლებლებმა წაიყვანონ სწავლების საქმე წინდაწინ შემუშავებულ, სასტიკად მოფიქრებულ გეგმაზე და ახსნან სასწავლო მასალა ისეთის ფორმით და სისტემით, რომლის დროსაც შესაძლებელია მოწაფემ კარგად შეიგნოს, შეითვისოს გადაცემული სწავლა, ბევრი ჩვენებური მასწავლებელი ხშირად აძლევს გაკვეთილებს სრულიად უგეგმოდ, მოუფიქრებლად, უსისტემოდ, ამის გამო ხშირად ბავშის მიერ გასაგებ ცნობებთან გადასცემენ ისეთებსა, რომელთაც არავითარი ლოგიკური კავშირი არ აქვს წინად შეძენილს სწავლასთან.

ყველა საგნების წარმატებით სწავლება დამოკიდებულია აგრეთვე სწავლების დროს თანდათანობის დაცვაზე. გადადი ახლოდგან—შორზე, მარტივ და ადვილიდგან რთულსა და ძნელზე, ცნობილიდგან—უცნობზე, თვალსაჩინოდგან—განყენებულზე—ამბობს დიდაქტიკური კანონები, რომლებიც სასტიკად დაცულნი უნდა იქმნენ ყველა საგნების და აგრეთვე დედა-ენის სწავლების დროსაც. სიახლოვე და სიშორე საგნებისა პირდაპირ კი არ უნდა გვემოდეს, როგორც ესმოდათ ზოგ პედაგოგებს და მათ შორის შესანიშნავ პედაგოგს პესტალოცაც—ეს უნდა გესმოდეს, გაგვეგებოდეს აზრ გადატანილად ფიზიოლოგიურად: დაიწყე სწავლება ისეთის საგნებიდგან და ფაქტებიდგან, რომლებიც ახლოა, მონათესავეა და საინტერესო ბავშის ჭკუა-გონებისთვის და თან-დათან გადადი ისეთს საგნებზე, რომელიც ცოტათ დაშორებული, მცირე მონათესავე და მკირედ საინტერესოა. დედა-ენაში პირველ დაწყებითი სკოლის მოწაფეთათვის უფრო გასაგები და დაახლოებულია ისეთი მოკლე სიტყვა-პასუხი, რომელიც შესდგება აზრით დამთავრებული წინადადებათაგან; უფრო გასაგებია ისეთი ნაწარმოები, რომელშიდაც სიტყვები ეხება თვალსაჩინო და არა განყენებულ საგნებს. აქედგან ცხადათ სჩანს ის თანდათანობა, რომელიც უნდა დაიცვას მასწავლებელმა საკითხავ მასალის მიწოდების დროს. მარტივი და ადვილი ისეთი საგნებია, რომლებიც არ განირჩევიან გარეგან და შინაგან თვისებათა სხვა და სხვა ფერობით: იმერული კვერ უფრო მარტივია—გუთანზე, მზის საათი კედლის ანუ ჯიბის საათზე. პირველ დაწყებით სწავლებაში უფრო მარტივი არის ისეთი კითხვები, რომელიც თავის შედგენილობით შეეხებიან არა რთულ საგნებს, რომელიც ისწავლება ბავშების მიერ დაკვირვებით. ცალ-ცალკე სიტყვების ამოკითხვა პირველად უფრო ადვილია, ვიდრე კითხვა წინადადებათა და მთელი სტატიებისა, ამის მიხედვით, რაკი ბავში შეისწავლის რამდენიმე ასოების გარჩევას და მათ მარცელებად შეერთებას, უნდა მიეცეს წასაკითხად ჯერ ცალკე სიტყვები, მერმე ორის, სამის, და ოთხის სიტყვისაგან შემდგარი წინადადებები—ბოლოს მოკლე სტატიები, რომელთაც მოყვება თანდათან ერცელი მოთხრობები, ლექსები, აწერილობანი, ზღაპრები და სხვა.

ლ. ბოცვაძე.

(შემდეგი იქნება).

მნიშვნელობა მოვალეობისა და სიყვარული ჭეშმარიტებისადმი.

აზრი მოვალეობაზედ კაცს თანდაყოლილი აქვს, განუშორებლად ახლავს; მას არ შეუძლია მის გავლენას თავი დაახწიოს. მოვალეობა განუწყვეტლად, მჭიდროდ შექსოვილია ჩვენს არსებობასთან. რა რომ ჩვენში მსჯელობის ნიჭი ფეხს აიდგამს, ამას მაშინვე გვეუბნება ჩვენი შეგნება—და იმდენად უფრო ნათლად და მტკიცედ გვარწმუნებს ჩვენ ის ამაში, რამდენათაც უფრო ძალუმად ვიწყებთ მსჯელობას და გონებრივად ემწიფდებით. ამასვე გვეუბნება გარე შემორტყმული ქვეყანაც. ეს ქვეყანა დამყარებულია დაუსაბამო, უცვალებელს, ჰარმონიულს კანონებზე და ყოველივეს მასში ის საერთო მიზანი აქვს, რომ გვამცნოს სიბრძნე და აღასრულოს ნება ღვთისა, რომელიც არის დასაბამი და დასასრული ყოელისა არსებისა.

კაცს აგრეთვე აქვს თავისი დანიშნულება. იგი მუდამ უნდა დარჩეს იმ არსებად, როგორ არსებათაც იგია შექმნილი ღვთისაგან, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი პატივცემული არ იქნება სხვებისაგან, არც თავისს თავს სცემს იგი პატივს და არც ბედნიერი იქნება იგი. მისწრაფება ბედნიერებისადმი კაცს თანშობილი აქვს და დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ამ ბედნიერებას მიაღწევს იგი მხოლოდ მაშინ, როცა იგი კეთილია, ე. ი. როცა ის, რაც მისთვის ბედნიერებას შეადგენს, ეთანხმება ღვთაებრივ განგებულებას.

ენებათა ზედმოქმედების გამო ჩვენ ხშირად ვარდებით შეცდომაში და თავისს ბედნიერებად ყოველივე ის მიგვაჩნია, რაც ეწინააღმდეგება სხვის ბედნიერებას და საზოგადო წეს-წყობილებას, მაგრამ ამის შეგნებას ვერ ვახერხებთ; სინიდისი ჩაგვძახის ჩვენ, რომ ეს ბედნიერება არაა და მართლაც როგორც კი ჭკვება ენება, ყოველივე ის, რაც ეწინააღმდეგებოდა სხვათა ბედნიერებას და საზოგადო წეს-წყობილებას, გვეზიზღება.

მოვალეობის აღსრულება იმდენად საჭიროა ჩვენი საკუთარი ბედნიერებისათვის, რომ თვით წვალება და სიკვდილი, რომელიც, ერთის შეხედვით, უდიდესი უბედურებაა, სიხარულად იცვლებიან კეთილშობილი კაცს გონებაში, რომელიც წვალობს და კვდება, მაგრამ დარწმუნებულია, რომ იგი ემსახურება თავისს მოყვასს ანუ ასრულებს ყოვლად ძლიერი ღვთის ნებას.

მოვალეობა კაცისა და აგრეთვე მისი ბედნიერებაც იმაში მდგომარეობს, რომ კაცი მუდამ იმ არსებად დარჩეს, როგორ არსებათაც გაჩენილია იგი შემოქმედისაგან. სარწმუნოებაში გამოხატულია ეს ჭეშმარიტება შემდეგი ღრმაზრავანი სიტყვებით: «კაცი შექმნილ არს ხატად და მზგავსად ღვთისა». მის მოვალეობას და ბედნიერებას ის შეადგენს, რომ იგი მუდამ იყვეს ხატება და მზგავსება ღვთისა და სხვა რამედ არ უნდა გარდაიქცეს; იგი უნდა იქმნეს კეთილი, ვინაიდგან ღმერთი კეთილია და წინდაწინვე დანიშნული აქვს კაცს ამაღლდეს იგი უმაღლეს სისრულემდე და შეუერთდეს ღმერთს.

ჩვენი პირველი მოვალეობაა გვქონდეს სიყვარული ჭეშმარიტებისადმი და სარწმუნოება მისდამი.

ჭეშმარიტება არის ღმერთი. სიყვარული ღვთისა და სიყვარული ჭეშმარიტებისა ერთი და იგივეა. ჩემო მეგობარო, იქონიე გამბედაობა ელტოდე ჭეშმარიტებისადმი და ნუ მოსტყუვდები იმ უბედურ და უგუნურ სოფისტების ყალბი და მჭეერ მეტყველური სიტყვებით, რომელნიც ყველგან სთესავენ დამლუპველი ეჭვიანობის თესლს.

გონება უსარგებლოა და მავნებელიც, თუკი იგი იხარჯება ჭეშმარიტების დასაფარავად და გასაბათილებლად, ანუ მავნებელ მოსაზრებათა შესადგენად; უსარგებლოა და მავნებელიც ჩვენი გონება, თუმცა მას იმ ბოროტების მიხედვით, რომელიც მას თან სდევს ცხოვრებაში, გ მოყავს ის შემცდარი დასკვნა, რომ თვითონ ცხოვრებაც არ იყოს ბედნიერება და სწამს საზოგადო წესი ქვეყნიერებისა, მხოლოდ მისთვის, ვინაიდგან იგი ხედავს მასში ზოგიერთ შემთხვევათა, რომელნიც არ ეთანხმებიან საზოგადო წეს-წყობილებას. გონება უსარგებლოა და მავნებელიც, როცა იგი, მიმხედვარე მისა, რომ ყოველივე ნივთიერება ხელშესახები და წარმავალია, იცვლის სარწმუნოებას მარტო სულიერზე, უკდავ მე-ზე და არავითარ განსხვავებას არ ხედავს ქველ-მოქმედებასა და ბოროტებას შორის.

რომ ნამდვილად კაცი და ბუნება რაიმე საზიზღარი და ბიწიერი იყოს, მაშ რალა საჭირო იქნებოდა კიდევ დრო დაგვეკარგა მათი გამოძიები-

სათვის. ყველაზე უკეთესი ამ შემთხვევაში ის იქნებოდა, თუ გონება ურჩევდა კაცს თავის მკვლელობას.

მაგრამ კაცში ცოცხლობს მისწრაფება თავისთავის დაცვისადმი და ზოგიერთი შემთხვევები, როგორც სულით ავადმყოფნი, არაფერს არ ამტკიცებენ,—კაცი სცხოვრობს, რათა მიისწრაფოდეს კეთილისადმი, და გრძნობს, რომ ბედნიერება მისთვის იმაში კი არ მდგომარეობს, რომ დამდაბლდეს და გაუთანასწორდეს ჭიას, არამედ მასში მდგომარეობს, რომ იგი გაკეთილშობილდეს და მიუახლოვდეს ღმერთს, აქედან ცხადია, რომ ყველაზე უკეთესი ის იქნება, თუ გონება აღძრავს კაცში უმაღლეს წარმოდგენილობას მისდამი მისაწდომელ სისრულის შესახებ და დაუყენებს კაცს იმ გზაზე, რომლითაც შეიძლება ამ სისრულეს მიღწევა.

თუ კი ამას შევიგნებთ ჩვენ, მაშინ გაბედულად უკუაგდებთ ყოველივე ეჭვს, ყოველივე მდაბალს და ულირსს მზრახველობას და ვალად დაუდგენთ ჩვენს თავს გვრწამდეს მხოლოდ ჭეშმარიტი, მშვენიერი და კეთილი. მაგრამ თუ გვინდა სარწმუნოება გვაქვნდეს, საჭიროა სურვილი ვიქონიოთ გვრწამდეს და ყოველი გულით გვიყვარდეს ჭეშმარიტება.

მხოლოდ ჭეშმარიტების სიყვარული გვაძლევს ჩვენ სულის მხნეობას; ვინც ყოველივეში ეჭვნეულობს, იგი ასუსტებს თავის სულიერ ძალას.

გრწამდეს ჭეშმარიტება, მაგრამ ამავე დროს სიტყვით და საქმით იყავ მკაცრი მართალი. კაცის სინდისი მხოლოდ ჭეშმარიტებაში ჰპოებს მოსვენებას. ვინც სტყუის, იგი უკვე გრძნობს სასჯელს, მისი სიცრუე კიდეც რომ გამოუქვეყნებელი დარჩეს; იგი ყოველთვის გრძნობს, რომ ულალატა თავისს მოვალეობას და დამდაბლდა.

რომ სიცრუის ლაპარაკი ჩვეულებად არ გადაგექცეს, ამისათვის მიუცილებლად საჭიროა აღთქმა მისცე შენს თავს, რომ არას დროს არ მოიცრუო. თუ ეს აღთქმა ოდნავ დაირღვა, მაშინ ეჭვს გარეშეა, რომ მოიცრუებ არა ორგზის, სამგზის და ორმოცგზის, არამედ მეტსაც. აქედან ის წარმოსდგება, რომ ხალხის უმეტესი ნაწილი ნელ-ნელა ეჩვევა პირველად ფარისეველობას, მერე გარდამეტებას, და ბოლოს — სიცრუეს.

ფრიად ცუდი დრო ესაა, როცა ყველგან სიცრუე მეფობს. ამ დროს იბადება საყოველთაო ურწმუნოება, მაშინ მრავლად ჩნდებიან ფიცის დამარღვეველნი და გაუტანლობა, მაშინ პოლიტიკური, სარწმუნოებრივი და მეცნიერული აზროვნების სხვა და სხვაობისა გამო საშინელი ომი იმართება პარტიების შორის, ამ დროს თითოეული პირი ცდილობს თავის მოწინააღმდეგე დაამარცხოს და დაამდაბლოს, ამისათვის მზად არის იხმაროს ყოველივე საშუალება, უკანონოც რომ იყოს იკი. ვისაც თვითონ გული წმიდა არა აქვს, იმას ყველანი ფლიდებად მიაჩნია.

შენ ისეთ დროში სცხოვრებ, როდესაც სიცრუე და განუსაზღვრელი ურწმუნოება ყოველ დღიურ მოვლენას წარმოადგენენ. მაგრამ შენ მაინც ეცადე, ასცდე ამ ნაკლულევანებათა. დაიმშვიდე შენი გული და გრწამდეს, რომ სხვები კეთილ-საიმედონი არიან, ნუ ჯავრობ, როცა სხვებს არ სწამთ შენი სიმართლე; შენთვის ისიც საკმაოა, რომ შენი სიმართლე ბრწყინავს მის წინაშე, რომელიც ყოველსავე ხედავს.

სარწმუნოება.

როცა მტკიცედ დავადგენთ იმ აზრს, რომ კაცი მარტო ცხოველი კი არ არის, არამედ მასში არის ზოგიერთი რამ ღვთაებრივიც, ჩვენ დიდს კრძალულებით უნდა მოვეპყრათ იმ გრძნობათა, რომელნიც ხელს უწყობენ კაცის გაკეთილშობილებას. ამ გაკეთილშობილებას ყველაზე უფრო ხელს უწყობს ის გარემოება, რომ კაცი მიუხედავად ყველა თავის ნაკლულევანებათა, მიისწრაფვის სისრულემდის, ბედნიერებისადმი; ამიტომ ჩვენ უნდა აღვიაროთ სარწმუნოება ყოველივე მისი სიმშვენიერით და აღვასრულოთ ყოველივე მისი მოთხოვნილებანი.

დევ, ნუ შეგარყევენ ფარისეველნი და გაუნათლებელნი კაცნი, რომელნიც შენ ფარისეველს გიწოდებენ, ვინაიდგან სარწმუნოება გაქვს. მით უმეტეს შენ შეცდომაში არ უნდა შეგიყვანოს იმან, რომ შენ, როგორც ქრისტიანეს, ბევრი დაბრკოლება შეგხვდება ხალხში, რომელსაც არ შეუძლია შეიგნოს ქრისტიანული სარწმუნოების უაღრესობა. ღვთის მოშიშობას არ შეიძლება უწოდოთ ის თვისება, რომელიც ეითომ და მარტო გაუნათლებელ ხალხს შეფერის, იმისათვის მხოლოდ, რომ განათლებას მოკლებულნი პირნი ვალდებულნი არიან და კიდეც შეუძლიათ ღვთის მოშიშნი იყვნენ. თუ კი

გაუნათლებელი კაცი ეალდებულია პატიოსანი იყოს, ნუ თუ განათლებულ კაცს კი უნდა რცხვენოდეს თავისი სიპატიოსნისა?

შენი გონების და შენგან მიღებული განათლების წყალობით შენ შეგიძლია ნათლად წარმოიდგინო, რომ ქრისტიანობრივ სარწმუნოებაზე უფრო სპეტაკი სარწმუნოება არ არის; იგი მოკლებულია ყოველივე შეცდომას, განდიდებულია, წმიდაა სხვებზე და მასში უმეტესად გამოხატულია ღვთაებრივი ხასიათი. მხოლოდ ქრისტეს სარწმუნოებამ აღძრა და გაავრცელა ხალხში კეთილი ზნე-ჩვეულებანი და მოსპო მონობა. არც ერთ სარწმუნოებაში ისე ცხადათ არ არის გამოხატული კაცთა ნათესაობა ღმერთთან და ის, რომ ჩვენ ყველანი თანასწორნი ვართ ღვთის წინაშე, როგორც ეს გამოხატულია ქრისტეს სარწმუნოებაში.

განსაჯე ყოველივე ეს და განსაკუთრებით მიიღე სახეში შეურყეველობა ისტორიულ საბუთებისა, რომელთა შეცვლა არ შეუძლია არავითარ პირუთნელ კრიტიკას. რომ ამ საბუთების მნიშვნელობაზე აზრი არ შეგაცლევინოს ზოგიერთმა, ვითომ და საბუთებმა, მოიგონე მრავალი რიცხვი იმ გამოჩენილ პირთა, რომელთაც მიიღეს ეს დამტკიცებანი სარწმუნოდ ჩვენის ეკლესიის პირველ მამათაგან დაწყებული ეხლანდელი ჩვენი დროის მსწავლულებამდე. ამ მსწავლულ პირთა წინააღმდეგ არც ერთ ურწმუნო კაცს არ შეუძლია სთქვას, რომ იგინი უეცნი იყვნენ.

ბევრნი გამოჩენილი ჯერმად განათლებული კაცნი მთელ თავისს სიცოცხლეში ჭეშმარიტი ქრისტიანე იყვნენ. დამტკიცება აღარ უნდა მს, რომ ქრისტიანობასა და უმაღლესად განსწავლულ და განვითარებულ გონებას შორის სრული თანხმობაა, მხოლოდ ეიწრო და განუვითარებელ გონების მექონე პირთ შემცდარი შეხედულება აქვსთ ქრისტიანობაზე.

(გაგრძელება შემდეგ №-ში)

საისტორიო მასალა.

ივანე ბატონიშვილის წინადადება გიორგი XIII დმა მართმეული.

(გაგრძელება *)

მეექვსე. რაოდენნიცა არიან კომლნი სომეხნი, ფრანგნი, ურიანი და თათრები, აღირიცხნენ სრულიად საქართველოსა შინა, და განიყენენ სამ ხარისხად: პირველმან კომლმან და შემძლებელმან მოგცეს მახთა ოთხი თუმანი, მეორე ხარისხისამ ორი თუმანი და მესამისამ ერთი თუმანი, ხოლო ამათზედ კიდე დაბალთა ხუთი მინალთუნი და კიდე დაბალთა ორი და ათი შაური. ეს სახედვე საყდრის ყმათ სომეხთა და თათარნა და თავადთა ყმათაცა სამეფოდ ხარჯი, ხუთის მინალთუნიდამ ერთს თუმნამდინ შეძლებით, და სხვებ არა ეთხოვებოდესთ რა, ყოველს წლის თავს აკრეფდენ თავის თავისნი მოხელენი და მოაბარებდენ ხაზინადართა დანიშნულთა კაცთა.

მეშვიდე. სამეფოს ღერბით იყოს დანიშნული ქალალდი სიგლის და ან ვინც მამულს გაჰყიდდეს და იყიდდეს ან თამასუკს მისცემდეს ის რაოდენათაცა ღირს და არს ასაღები ეალი, თუმანზედ ათ შაურს სამეფოს მისცემდეს და იმ ქალალდზედ დაიწერებოდეს, თუ ვინმე სხვა ქალალდით შეეკრნენ ერთმანერთსა, ერთი ორათ ჯარიმა გარდახდეთ და ამავე ღერბიანს ქალალდზედ დაუწერონ ერთმანერთს.

მერვე. რაც საეკროთ შემოვიდეს ქალაქში ბაჟის სითარხნე ნუ იქნება. და თუ ეკლესიის ყმა ვინმეა თარხანი, ამასაც გამოერთოს და ეკლესიას გაუჩინეთ რამე ნაწილი. ამისთვის ვინც თარხანნი არიან სხვასაც ბევრი შემოაქვთ საეკრო და ამაში ბევრი აკლდება ბაჟსა.

აგრეთვე, იბეჭდებოდეს გაზეთი თვეში ორჯელ: ექვდამაც იქნება შემოსავალი და ხალხნაც შეეჩვევიან:

მერვე. ყოველი იჯარები სადედოფლო დაიდოს სამეფოდ და აგრეთვე სოფლები, ამისთვის დედოფლები ისევ მეფის ხარჯზედ არიან, და ამათი შემოსავალიც უბრალოდ იკარგება.

*) იხ. «მწყემსი» №№ 11—12, 1894 წ.

მეცხრე. სამეფო ყმის დებულება იჯარით ვაჭრებს მიეცესთ თეთრად ღვინოც, პურიც, საკლავიც და სხვაც, და მეფეს ექნების ჯამაგირი, ვითარცა შეენის, აგრეთვე სუფრის ხარჯი.

მეათე. რაც საბალახეებია სამეფოდ ასალები, ესეცა იჯარით თეთრზედ მიეცეთ ვაჭართ.

აგრეთვე ქურდების შვიდეული და დაელისა ხუთისთვის და აგრეთვე ნაპოვნის საქონელისაც, უპატრონოსი და საქერიოცა და ბეითალმანი, აგრეთვე ბეითალმანი მამული გასამყრელო, ოდეს უკანვე უბოძოს მეფემ თვისთა მონათესავეთა, ესენი დაფასდეს და თუმანზედ ათი შაური მეფეს მიერთოს წყალობის წიგნისათვის.

მეათთერთმეტე. მადნები რაოდენ შეიძლებოდეს, ან მეფემ თვის ხარჯით ამუშაოს და ანუ იჯარადრებს მისცეს, და ყოველივე გამოსავალი: ოქრო თუ ვერცხლი თუ სპილენძი შუა გაიყოს; მუშა მოიჯარადრის რიცხვში იყოს იმის ხარჯზედ. ეჰგონებ ეს კარგი სარგებლობა იქმნების.

მეათოთხმეტე. განჯისა და ერევნისა მახთაც უნდა ბარდებოდეს ხაზინადარს.

მეათცამეტე. სამეფო სადედოფლოს საკუთრათ ბაღთა, ვენახთა, სანადიროთა, წყლებთაც უნდა ვაჭართ მისცემდეთ თეთრად, და ესეცა ხაზინადარს ბარდებოდეს. ყოველთა ამა გუართა შემოსავალთაგან, ეჰგონებ ჩემის ანგარიშით, დადგეს რიცხვი თეთრისა, ოცდა ხუთი ათას თუმნამდინ.

მეათოთხმეტე. რადგან გვარით არის სახელო, ვინც მოკვდეს და მერე მისი შვილის ძმასა თუ ბიძაშვილს მიეცეს მისივე სახელო. მამით ქიზიყის მოურავს შემდეგს რომ მიეცეს სახელო იმას უნდა მიეცეს წყალობის წიგნით; სიგელი იყოს სამეფოსავე ღერბით დაბეჭდილი, ფასი ამისი იყოს ორმოცდა ათი თუმანი. ამ სახედ ამილახერის მოადგილისა, ერისთვის მოადგილისა, ყაზახის მოურავის მოადგილისა, ქალაქის მოურავის მოადგილისა, სალთხუკის მოადგილისა და ქალაქის მელიქის მოადგილისა, აქედამ ეს შემოსავალი უნდა იყოს. ხოლო სხვათა წვრილთა მოურავებთა და სხვათა ადგილთა მიხედვითა სამებრ ოცი თუმნიდამ ოცდა ათამდინ, ხუთის თუმნისა ათამდინ და ესრეთ უშორეს. ხოლო პირველისა მდიენისა, პირველისა ეშკაღაშისა და პირველისა ნაზირისაც, შამშადილისა, ფანბაკის და ლორის მოურავისა, ოცდა ათი თუმანი სიგლისა; და ამ სახედ არ იქნება ამითაც ცოტა შემოსავალი. აგრეთვე სულთანთა, ვექილთა, აღალართა და ახუნდსა ქალამთავართა, რომ ებოძოს წყალობის წიგნი სულთანმან შამშადინისამან დადოს ორმოცდა ათი თუმანი, აგრეთვე ყაზახისა ვექილმან. ხოლო სხვათა ოცი თუმნიდამ თოთხმეტამდინ.

მეათთუთხმეტე. სამეფო ჯოგიდამ, ცხვრიდამ, ძროხიდამ და სხვიდამ ამ გვარებიდამ, რაც სამეფოდ არ ეჭირვებოდეს, უნდა ჰყვეუანდნენ ვაჭარნი მიჩენილნი, ჰყიდდენ ცხენებთა, ულაყთა და ცხვართა, ერბოთა, მატყლთა და სახარე ძროხებთა და მოზვერკამეჩებთა. აქედამ იქნებოს კარგი შემოსავალი.

ჰასუხი

ნ. ნიკოლაძის მოსარჩლეს ბ. დ. დევიძეს.

(დასასრული *)

რუსულათ ნათქვამია, ბ. დევიძე: „იცრუე, მაგრამ ზომაც იცოდეო“, ბ. ნიკოლაძე ასახელებდა ეილაც 500 მოსახლე კაცს, რომლებიც ეითომ მე მიმუშავებია, მათთვის ფული გადამიხდეენებია, მერმე წყალი კი ამიშორებია და სადღაც უდაბნოში წამიყვანია. თქვენ, ბ. დევიძე, ორასი მოგიკლიათ და სამასად ასახელებთ მათ. მე კი მოგახსენებთ: წამლათაც რომ გინდოდესთ—ერთად ერთსაც ვერ ნახავთ ჩვენში ისეთს, რომელსაც საწულიკიძეოს არხის გამოყვანაში ფულით ან მუშაობით მონაწილეობა მიეღოს და ამ წყლით არ სარგებლობდეს—ან ეზოვენახში არ მიუდიოდეს ან სარწყავად მაინც არ მიუდგებოდეს... ისეთები კი ბევრზე მეტია, რომელთაც მონაწილეობა არ მიუღიათ, სარგებლობით კი სარგებლობენ (? კუხში 30-მა მოსახლე გლეხმა ბალ—ძეებმა, უმონაწილო ხალხმა, სამ-თვალი წისქვილი აიშენეს). მაშ საიდან გააჩინეთ თქვენ ეს 300.500 ჩემგან დასჯილი მონაწილეები? რატომ მათს სოფელს არ ასახელებთ? აქ რაღაც მიზეზი უნდა იყოს. იქნება თქვენენებურები, ჯიხაშლები არიან

*) იხ. «მწყემსი»-ს № 13, 1894 წ.

ისინი, ბ. დევიძე? მე და თქვენ რომ გავიგოთ, ან ვიცოდეთ კიდეც, თუ თქვენ, ბ. დევიძე, აქ ვისზე ლაპარაკობთ,—ეს როდი კმარა. მე და თქვენ ისიც მშვენიერათ ვიცით, რომ იმ თქვენს 300—500 კომლს ჯიხაიშლებს, თქვენის მათ შორის კარგათ ყოფნით—ერთი კაპეიკიც კი არ დაუხარჯავსთ გუბის არხის გამოყვანისათვის; არ რეულხართ, აზრათაც კი არ მოგსვლიათ მონაწილეობა მიგეღოთ, თუმცა გუბის არხის გამოყვანის მოთავე, თათეიშვილი, პირიქით გეხვეწებოდათ მონაწილეობას. მე და თქვენ რომ კარგათ ვიცით ეს, ბ. დევიძე, «ივერიის» მკითხველებისათვის საკმარისი არ არის... საქვეყნოთ რომ ლალადებთ—ფულები გადაგვახდევინეს, წყალი კი აგვაშორესო, მე თქვენ გთხოვთ დაამტკიცოთ ეგ, ესე იგი: უარყავით ჩემი მოხსენებული, რომ თქვენ—500 ხართ, თუ ასიც არა—ერთი კაპეიკიც არ გაგიღიათ გუბის არხის გამოყვანისთვის. თუ ამას არ იქთ, იცოდეთ, რომ თქვენ და თქვენს მფარველობასა ქვეშე მყოფს, ბ. ნიკოლაძეს, სიცრუვის მქადაგებლის სახელი არ აგცდებათ... მიკვირს, თქვენ მაინც რამ გაიძულათ, ბ. დევიძე, ასეთი საქციელი ჩაგედინათ!

ზევით ჩვენ ამოვწერეთ დევიძის სიტყვები ჩემზე, ვითომ «მე მსურდა რჩევაში მეტი ხმა მეშოვა და არ გამეზიარებია წყალი იმ 300 მოსახლე კაცისათვის» და სხვ. აქედან სჩანს, ვითომ საბჭოს ანუ რჩევას უფლება ჰქონდეს გაარჩიოს დავა მონაწილეთა შორის და განაჩენი დასდოს, ვინ არის მონაწილე და ვინ არა. ამავე შეცდომაში შედის, რაც უფრო გასაკვირველია,—თვით ბ. ნიკოლაძე, როცა სწერს: «совѣтъ долженъ по закону 3 декабря 1890 года, утвердить списки соучастниковъ, долженъ выдать каждому свидѣтельство на право пользованія водою» და სხვ. რომ ბ. ნიკოლაძეს აქ სწორათ არ გაუგია კანონი 3 დეკემბრისა 1890 წლისა—ეს ჩვენ მათ მოვახსენეთ «Нов. Обозр.»-ის 3487 ნომერში. აქაც საჭიროა განმეორება, რომ რასაც ესენი სამაზრო საბჭოს მოვალეობათ სთვლიან, შეადგენს სამაზრო და უმთავრეს საკრებულოთა (присутствіе) მოვალეობას... ნეტა, ბატონებო, რით ვერ წაიკითხეთ ერთხელ მაინც გულდასმით ეგ თქვენგან წამებული კანონი 3 დეკემბრისა, რომელიც მუდამ ენაზე გაკერიათ, რომ ერთხელ და სამუდამოთ გაგეგოთ მისი შინაარსი?! სანამ ესრეთი საკრებულო (присутствіе) ეღირსებოდეს რომელიმე მაზრას, მანამდის მისს მოვალეობას სამაზრო საბჭო კი არა, სასამართლოს საზოგადო დაწესებულებანი ასრულებენ...

«წერეთელს უნდოდაო, განაგრძობს ჩვენი მოდავე, როგორც ნიკოლაძე უწოდებსო, უდაბნოს წისქვილისთვის კერძოთ მოეხმარა ეს წყალიო». გეცოდინებათ თქვენ, ბ. დევიძე, რისთვის უწოდება ნიკოლაძე და მისი აყოლით თქვენც სოფელს გუბას უდაბნოს წისქვილებს? ჩვენი წყალი ჩვენს ეზოვენახებში გავატარეთ. «გვინდოდა მოგვეხმარა» კი არა, კიდეც მოვიხმარეთ და იმავ ეზოებში წისქვილებიც ავიშენეთ. მერმე თქვენ რა გული გწყდებათ? «კერძოთ» რას ჰქვიან? მაშ თქვენდა საზიაროთ რომ მოგვეხმარა, მაშინ ხომ არ იქნებოდა ესენი უდაბნოს წისქვილები? სადაც არა დაკითესიეთ, სამკალათ რატომ ემზადებით?

«არავის არაოდეს არ უფიქრიაო (ვითომ?) წყალი წაერთმია წერეთლისთვისო, გვანუგეშებს დევიძე, თუმცა ყველამ (!)იცისო(?), რომ ეს წყალი უკანონოთ (!) ჰქონდა ნაშოვნიო; მას (წერეთელს) წყალს არავინ ართმევდა (დიდათ გმადლობთ!) და მეტსაც პირდებოდენო (რას იხარჯებოდით?), მაშ თითონ წერეთელი რათ უნდა გამხდარიყო წინააღმდეგი (მეც მიკვირს, თქვენმა მზემ!), რომ იმ უწყლოთ დატოვებულ (ვისგან? თუ დარჩენილ?) სამას მოსახლე კაცს ზედმეტი წყალი წამოეყვანა და ესარგებლათო? ამ თქვენს სიტყვებზე, ბ. დევიძე, უსათუოთ მოგაგონდებათ კუდიანების გადალოცვის ლექსი: «ჯვარი აქეთ, ჯვარი აქეთ! შენი სვიდა და შენი ქამე! ჩემსას ჯვარი დამიწერე!» შენსას ვინ რასმე გეცილება, ბ. დევიძე, თუ რამე მოგიყვანია, რომ კიდევაც ისარგებლო, ვინ გიშლის? მაგრამ, თუ მოსაყვანათ გყავს, თუ დარჩენილებში ურევიხარ,, მაშ დაგვვიანებია. თქვენისთანებს კი ასე მოახსენეს—მოიცადეო! სასოებას კი ნუ წარიკვეთთ, ლობე-ყურეს კი ნუ ედებით, სიმართლეს კი ნუ დალატობთ, მოყვარეს მტრათ კი ნუ ეკიდებით ამისთვის. ცოტა მოთმინებით აღიჭურვეთ. „უკანონოთ გქონდათ ნაშოვნიო». ნაშოვნი რას ჰქვიან! ქუჩაში კი არ გვინახავს. მაშ კანონიერათ შოვნა იმას თუ ჰქვიან, თქვენ რომ გვიბრძანებთ: ფულები გადაგვახდევინესო და, ნამდვილათ კი ერთი კაპეიკიც არავისთვის მიგიციათ.

«საწულიკიძეოს არხის წყალიო, ამბობს დევიძე, წერეთელს ჯურღმულში ჩაუშვია, იკარგება მარტო სამის წისქვილის მეოხებით და მოხარწყავათ არ გამოდგებაო». ერთი გვიბრძანეთ, ბ. დევიძე, ვისთვის ზრუნავხართ თქვენ ამ შემთხვევაში? «კაციო, გვარიგებს დევიძე, თავისთვის კი უნდა შრომობდეს, მაგრამ სხვას არ უნდა ავნებდეს და ავიწროვებდესო». ამ სიტყვების შემდეგ ცხადია, რომ ბ. დევიძე ჩვენთვის იწყენს თავს, ამისთვის უნდა ვანუგეშოთ, რომ ჩვენ, გუბის არხის მონაწილეებმა, ასე წამოვიყვანეთ ჩვენი წყალი ამ ჩვენს „უდაბნოში", რომ ყველა მონაწილეებს თავ-თავის დროზე, რაც კი გვაქვს წყალი, სარწყავათაც გამოგვადგება, სასმელათაც და წისქვილისთვისაც. ნეტა ასე სამართლიანათ თვით ჯიხაიშში გაენაწილებინა წყალი მას, ვინც მანდ თავობდა. მხოლოთ ერთში გებრალებოდეთ, ბ. ჩვენო მზრუნველო! ეს ჩვენი წყალი ერთობ გვეცოტავება, რადგან ყველა ჩვენს სარწყავებს ვერ ყოფნის: ამიტომ თქვენ რომ ზედმეტს წყაროს მოიყვანთ, იმაში უსათუოთ უნდა შეგვიზიაროთ.

ჩვენი ჭკუის დარიგებისთვის კი, თუ ჩვენ როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ რიგიანი კაცი გამოვდგეთ, დიდათ გმადლობთ. მაგრამ წინდაწინ ქადილიც არ არის მოსაწონი. მაგ ეთქმის დღეს მარტო ბ. ნ. ი. ნიკოლაძეს, რომელმაც თავის თავი სრულიათ დაივიწყა ამ სარწყავი არხების გამოყვანაში და «ქვეყანას» უფასოთ მოუყვანა წყალი, ისე რომ თავისი ეზო არც კი გახსენებია.

როცა თქვენც, ბ. დევიძე, მასე მოიქცევით, უხარჯოთ მოიყვანთ წყალს, თქვენს ეზო-ვენახს აამორებთ და სხვისაში გაატარებთ, წისქვილებსაც სხვებისთვის ააგებთ, მაშინ კი სრული უფლება გექნებათ, თქვენც ნიკოლაძესთან ერთად სამართლიანათ დაგვაქადოთ თქვენი საკუთარი სარგებლობის დავიწყება და ქვეყნისთვის თავდადება.

ნ. წერეთელი.

ახალი ამბები და შენიშვნები.

პეტერგოფის სასახლის ეკლესიაში ჯვარი დაიწერეს დიდმა მთავარმა ალექსანდრე მიხეილის ძემ და დიდმა მთავრინამ ქსენია ალექსანდრეს ასულმა. დილიდგანვე ზარბაზნის სროლამ პეტერბურღის ციხიდან და პეტერგოფის ნავთ-სადგურიდგან აუწყეს სატახტო ქალაქს და საზაფხულო სამყოფელს მათის უდიდებულესობის მოსალოდნელი სადღესასწაულო ამბავი. პეტერგოფი მშვენივრად იყო მორთული ბაირაღებით, ყვავილებით და ტრანსპარანტებით; აშვებული იყო პეტერგოფის შადრევნებიც, განსხვავებული მოძრაობა იყო, ყოვლის მხრით სასახლის ეტლები სჩანდა, აუარებელი საზოგადოება იყო. ტაროსი ხშირად იცვლებოდა.

2-ს საათზე მოვიდა პეტერგოფში დიპლომატის წარმომადგენელი, ამავე დროს პეტერბურღიდან და კრასნოე-სელოდან მოვიდნენ სასახლის მანდილოსანნი, სახელმწიფო საბჭოს წევრნი, მინისტრნი, სტატს სეკრეტარნი, საპატიო აპეკუნნი, წევრნი სასახლისა, ამალა, ღენერლობა, და მეუფროსენი განსაკუთრებულის ნაწილებისა. პროტოპრესვიტერი იანიშევი და უმაღლესი სამღვდელოება შეიკრიბნენ სასახლის ეკლესიის ტრაპეზში. სახელმწიფო საბჭოს წევრებმა, მინისტრებმა, ელჩებმა, დესპანებმა და იმათმა მეუღლეებმა დაიჭირეს ალაგი ეკლესიაში. მესამე საათზე მობრძანდნენ გარეშე ქვეყნის დიდებულნი სტუმარნი: დიდნი მთავარნი, და დიდნი მთავრინანი. მალე ამის შემდეგ სადღესასწაულო ეტლით მობრძანდა დედოფალი იმპერატრიცა სასძლო დედოფლით. ნეფე მობრძანდა თავის მშობელთან, ხელმწიფე იმპერატორი მობრძანდა მემკვიდრე ცესარევიჩითურთ. ამ დროს ოქროს სასტუმროში სტატ დამებმა გაათავეს დედოფლის გამოწყობა. გვერდით შინდის ფერ სასტუმროში შეკრებილ იყვნენ ყველა წევრნი საიმპერატორო ოჯახისა და აქ დალოცეს დედოფალი. პირველმა ობერ ცერემონიმეისტერმა თავადმა დოლგორუკოვმა შეატყობინა ნეფეს და ეახლა მის უმაღლესობებს შიდა ოთახებამდის. 3 საათზე 21 ზარბაზანი გამოისროლეს და შინდის ფერის სასტუმროდან დაიწყო კორტეჟმა დენა სასახლის ეკლესი-

ისაკენ. შუა ეკკლესიაში გაკეთებული იყო მაღლობი ალაგი, შინდის ფრის ხავედით და ყვითელის სირმით მორთული. აქვე ესვენა ამბიონზე ჯვარი და სახარება. შემობრძანდა ხელმწიფე იმპერატორი თუ ჭრა ეკკლესიაში, დააყენა ნეფე-დედოფალი საგვირგვინო ამაღლებულ ალაგს. დაიწყეს მღვდელმოქმედება; მეჯვარეებად იყვნენ: მემკვიდრე ცესარევიჩი და ძმები ნეფისა. გალობის დროს «შენ გადიდებ ღმერთსა", 101 ზარბაზანი დასცალეს. 5 საათსა და ნახევარს იწყეს სასადილოდ შეკრება. ოქრო, ვერცხლი და ყვავილები ფარავდა სუფრას. შუა ადგილას ისხდნენ ახალი ჯვარ-დაწერილნი ნეფე დედოფალი. მარჯვნივ ნეფესა დაბრძანდა დედოფალი იმპერატრიცა, მარცხნით ახლად ჯვარ-დაწერილის დედოფლისა დაბრძანდა ხელმწიფე იმპერატორი. ხელმწიფის და დედოფლის სავარძელს უკან იდგნენ პირველნი ხარისხანი სასახლისა, საბჭნეთის დედოფლის და დანაშთენ დიდებულთა სტუმართა, დიდთა მთავართა, მთავრინათა სავარძელთ უკან იდგნენ კამერკერნი და ნაშთენთა ხელმწიფის გვარეულობის წევრთა სავარძლის უკან კამერ იუნკერნი. მუსიკას უკრავდა სასახლის ხორო. 9 საათზე პეტერჰოფის დიდ სასახლეში შეიკრიბნენ პირველის სამის ხარისხის მქონენი სამუსიკო საღამოზედ.

შემდეგ სამუსიკო საღამოისა ნეფე-დედოფალი წაბრძანდა როპშინის სასახლეში. სასახლე ანთებული იყო ჩინებული ილლუმინაცია, რომელმაც პეტერგოფი რაღაც საარაკო ადგილად გადააქცია. დასასრულ, პეტერგოფის ნაპირზე დასწვეს შუშხუნები.

ფრეილინი მისის იმპერატორებითის უდიდებულესობისა ოზეროვისა დანიშნულ იქმნა ჰოფმეისტერინად დიდის მთავრინის ქსენია ალექსანდრეს ასულის წინაშე; პოლკოვნიკი ევრეინოვი დანიშნულ იქმნა სასახლის გამგედ დიდის მთავრის ალექსანდრე მიხეილის ძისა.

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილზნეობაზე.

ღვთისმშობლის მიძინება.

(დასასრული *).

ღვთისმშობელმა შეიწყნარა
მოციქულთა ცრემლნი ცხელნი,
და მოუბნენ იოვანეს
კვლავ უვნებლად თვისნი ხელნი!
რა ეს ნახეს ურიათა:
გვრწამსო, გვრწამსო,—ღაღადებდენ,
ხელ აღპყრობით ზეცად მამართ
მადლობასა აღავლენდენ,
და იქ მყოფნი ურწმუნონი
დავარდნენ და თაყვანი სცეს...
მარიამი ღვთისმშობლად და
ქრისტე ღვთად და კაცად იცნეს.
ხალხი ბეთლემს გაეშურა,
იოვანე დაშთა მრთელი,
ღვთისმშობლის და მის ძისადმი
ცრემლის ღვრითა მვედრებელი.
მოციქულნი წინ წაუძღვა
ქალწულის გვამს გალობითა...
მათი გული იყო ლაღი
ღვთის სასწაულ წყალობითა.

VI

ქალწულის გვამი დაკრძალეს
ბაღში, ჩვეულებრივ წესით,
მოციქულებიც იქ დაშთენ
გულ ამოსკვნითა და კვნესით.
ხატი უვლისა მაცხოვრის,
მუნ დაუსვენეს ქალწულსა,
და მთელი ღამე ლოცვითა
დაიმშვიდებდენ წყლულ გულსა.
ცისკრისა ჟამსა მაცხოვრის
ხატი ვითა მზე გაბრწინდა,
ხმა გამოისმა იმისგან,
რითაც მსმენელნი განკვირდა:
«სახარებისა ქადაგნო,
«ისმინეთ ჩემი, კვალად ის

*) იხ. „მწყემსი“-ს №№ 11—12, 1894 წ.

«ქალწული სულით და ხორცით
«ცხოველ იქმნების მარადის..
მოციქულთაცა დიდება,
ქება, მადლობა მოუძღვნეს,
შარავანდედით მოსილი
რა ღვთის ბრძანება მოიხსნეს.

VII

რა გათენდა დღე შაბათი,
ჟამის წირვა აღასრულეს,
და მწუხრიდან ცისკრამდისინ
მუდმივ ლოცვა მოისურვეს.
შეალამებდის ილოცვიდენ,
თუმცა კი არ მოეწყინეს,
მაგრამ დიდათ დამაშვრალთა.
მიერულათ, დაიძინეს.
ამ დროს იქმნა ქვეყნის ძრაცა,
და «განეხვნეს» მაღლა ცაცა,
და ღვთისმშობლის ხორცნი ზეცად
უხილავად აღიტაცა!
იოანნე ძილისაგან
განკრთა ძრვასა ქვეყნისასა,
და ძმათ უხმო მაღალი ხმით:
განიღვიძეთ, ნუ გძინავთა!
განიღვიძეს, გაუკვირდათ,
სთქვეს: «ქვეყანა იძვრის რათა»?!
იმწუხარეს: «რათ ვერ გავსძელთ
ერთი ღამე უძილრათა»?!
ამ დროს თომა მოციქულმაც
მოაწია შორით მელელმა,
ღვთისმშობლისა მიცვალების
ჯერ არ იყო ის მხილველი.
და ამისთვის მოციქულნი
მოელოდენ თომას ამ დროს,
რომ ღვთისმშობლის მიცვალებას
პატივი სცეს, შესხმა ჰკადროს.
თომამ გვიან მოსვლისათვის
მეტისმეტად იმწუხარა,
ვეღარ ნახა ღვთისმშობელი,
იტირა და ცრემლი ღვარა...
მოციქულნი მოიკითხა,
მოციქულთაც ყველამ,—თომა,
ასე იყო ჩვეულება,
სურვილი და მათი ნდობა.
თომას უთხრეს უმეტნაკლოდ
უმისოდ აქ რაც რამ მოხდა:
ღვთისმშობლისა მიცვალება,
ვით ძე ზეცით გარდამოხდა...
მერმე, ძმათა თვით უამბო,
ამ დროს იყო იგი სადა,
და ღვთისმშობლის მიცვალება
განგებამ ვით გაუცხადა.
სთქვა: «ინდოეთს, ნათელს ვსცემდი
«მეფის ძეს და იმის ასულს,
«ზეცით მესმა: მიცვალება
«ეგულვების წმიდა ქალწულს.
«წარვედ გეთსამანის ბაღში,
«მსწრაფლ აქ ნუღა ეყოვნები
«და ღრუბელთა აღმიტაცეს,
«აჰა აქა ვიპოვები.
«ნეტარ ხართ თქვენ, ქალწულისგან
«მადლი უხვად მოიხვეჭით,
«სათაყვანო სასოება,
«ღირსი ღირსათ შეამკვენით.
«ვაი ჩემდა, ვერ დავესწარ,
«ქალწულისა მიცვალებას.
«უკანასკნელ იმის ხილვას;
«ძმებთან ერთად მწუხარებას.
«აქ შეკრებულთ მადლით აღვსილთ,
«გთხოვთ ერთსა რამ სათხოვარსო,
«შემავედრეთ მე უღირსი
«თვით იესო მაცხოვარსო...
«ეს საფლავი დაკრძალული
«ქალწულისა განაღეთო,
«მისს წმიდა გვამს ვეამბორო,
«ჩემი თვალით მანახეთო.
დაეთანხმა თომას ყველა
სულის წმიდის შთაგონებით,
რომ გაეხსნათ მათ საფლავი
შიშითა და მოკრძალებით.
როგორც თავითა მოციქულთა
ყველამ პეტრესა და პავლეს
საფლავისა მიახლება,
ამა ორთა დაავალეს...
პავლემ ცრემლით მოახსენა
იოანნე მახარებელს:
«არა ღირს ვარ, ქალწულის გვამს

სიწმიდისა დამყარებელს,
«ძველისა და ახლის სჯულის
«კიდობანსა უტყუელსა,
«მე მდევნელი ეკკლესიის
«ვერ შევახებ ცოდვილ ხელსა.
«იოანე! შენ გეკუთვნის,
«შენა ხარ ძე ქუხილისა.
«შენა ხარ მკერდს მიყრდნობილი,
«ძედ წოდებულ ქალწულისა».
იოანემ, პეტრესა და პავლეს
უთხრა სიტყვა სწორი:
«თქვენ ხართ თავი მოციქულთა,
«და ჰურ რჩეულ თქვენვე ორი.
«თქვენ სადგური სული წმიდის,
«სჯულის თავად დასაჯერო,
«ხელ ყავით საფლავს გასახსნელად,
«მე საცეცხლურს დავიჭერო».
ღირსეულად თავს ვერვინ სთვლიდა,
მიახლება ვერ იკადრა,
არა ვის სურს ხელი ახლოს
საფლავს, იოანეს გარდა.
იძულა იოანე,
ხელი მიჰყო საფლავს ძრწოლით
იაკობი მოიხმარა,
სხვებიც სანთლის წინ გაძღოლით.
გახსნეს, საფლავს შიგ ჩახედეს,
ნახეს საქმე საკვირველი!
იქ ვერა რა ვერ იპოვეს,
მხოლოდ—სუდარ-სახვეველი!
თომა ამბობს: „ვერ ვირწმუნებ
«მე, ღვთის დედის მიცვალებას,
«სანემ თვით ის არ მაუწყებს,
«არ ინებებს მოწყალებას“.
თომას ყველა არწმუნებდა,
მაგრამ მაინც არა სჯერა,
ერთხელ რაც სთქვა, არ გადათქვა,
ვერ ვინ ველარ დააჯერა.
მაშვინ ცხადათ წარმოუდგა
ღვთის მშობელი წმიდა თომას,
რაც არ რწმენა—დაარწმუნოს.
მისთვის ასე მიუგო მას:
«მოციქულო! გწამდეს ჩემი,
«ქვეყნით ზეცად მიცვალება,
«ხორციელად მაცხოვრისგან
«ჩემი მასთან მიყვანება».
«ურწმუნოებ, მხოლოდ მისთვის,
«რომ იწრმუნონ სხვათა მტკიცედ,
«ამ სასწაულს, რაც აქ მოხდა
«მაგ არ რწმენით დაამტკიცებ.
«მოხველ თომა, მომეახლე,
ეს სიტყვა კვლავ განუახლა,
თომა ცრემლით დაეარდა და
თაყვანისცა, მიახლა:
„მრწამსო, მრწამსო, განუხრწნელად
„ხორციელი გიებ მარად,
„მორწმუნეთა სამკაულად,
«ზეცით მეშველად, მწედ და ფარად.
ღვთისმშობელმა მოციქული
შეიტკბო და გაახარა,
აკურთხა და კრებულთ გულში
სასოება დამყარა.
მაშვინ, ერთად შეკრებულთა
აორკეცეს სიყვარული
და თვალთაგან მიეფარა
მორწმუნეთა სიქადული.

რ. საჯაოხელი.

სახელმძღვანელო, საყურადღებო, საჭირო და სასარგებლო ცნობათა განყოფილება.

საეჭვო კითხვების განმარტება.

(სამღვდელო პირთა საყურადღებოდ).

მამაო რედაქტორო!

მორჩილად გთხოვთ განგვიმარტოთ ერთი კითხვა. ჩვენს სამრევლოში რაღაც ჩვეულებად ჰქონებიათ დიდ- ბუღი ბავშების მონათვლა ტაძრის დღესასწაულობის დღეს. ყველა მთხოვს ბავშების მონათვლას და ვერ მომიხერხებია ყველას სურვილის ასრულება. მე გამო-

ფცხადე მრევლს, რომ ეკლესიაში მოიყვანონ მოსანათლავი ბავშები, მაგრამ ჩემს თხოვნას არ ასრულებენ. რიგი და მართებულია, რომ მღვდელმა სახლებში იაროს და ნათლოს ბავშები?

ერთი მღვდელთაგანი.

ხშირად ვავუგებთ ჩვენ მრევლს, რომ იგინი რიგიანად ვერ ასრულებენ მღვდელ-მოქმედებათა, არც იმას დაეძებენ თავის დროზე ანუ დანიშნულ ალაგას იქნება ასრულებული მღვდელ-მოქმედება თუ არა. ასე მივაჩვიეთ ხალხი საიდუმლოების შესრულებას და ისიც დღეს ძალაუნებურად ითხოვს ჩვენგან ძველი ჩვეულებისა მებრ წესების ასრულებას, სადაც უნდა იყოს ეს. კანონით ყოველი კაცი ვალდებულია ბავში ეკლესიაში მიიყვანოს უთუოდ მოსანათლავად. მაგრამ ზოგი პატივ-სადებ მიზეზთა გამო შეიძლება ბავში მოინათლოს სახლშიაც. მაგრამ ამით არავის არ შეუძლია თავის გამართლება და არავის ნება არ ეძლევა, ბავში სახლში მონათლოს, თუ ბავში მძიმე ავათ არ არის, ან ეკლესია ძლიერ დაშორებული და ან თუ ზამთრის ცუდი ტაროსი არ არის. როდესაც მღვდელი არ იშოება და ბავშვი უნათლავი კვდება, მაშინ კანონი ნებას აძლევს ყოველ კაცს და ბებიასაც, რომ მოსანათლავი წყალში ჩაიყვანონ სამ გზის და წარმოსთქვან ის სიტყვები, რაც წარმოითქმის მღვდლისაგან ბავშის წყალში ჩაყვანის დროს. მაგრამ ამით მოსპობილი როდია მღვდლის მოწვევა ბავშის მოსანათლავად. ყოველი მშობელი ვალდებულია მოსანათლავი ბავში ეკლესიაში მიიყვანოს და არავ-ს არა აქვს უფლება, რომ კარგად მყოფი ბავშ-შინ, სახლში მონათლოს. ამ კითხვის უფრო დაწვრილებითი განსამარტებლად ჩვენ მოგვყავს აქ პოდოლის ეპარქიის მღვდელ-მთავრის რეზოლიუკია, დასმული ერთი მრევლის საჩივარზე, რომელშიაც მრევლი უჩიოდა მღვდელს იმისათვის, რომ იგი არ მივიდა და სამი კვირის ბავ-ში არ მოუნათლა სახლში. აი ეს რეზოლიუცია; დასმული ამა მიმდინარე წლის 25 თებერვალს: «კონ-სისტორიამ მოახდინოს განკარგულება, რომ მღვდლებ-მა საფუძველსა ზედა მეექვსე მსოფლიო კრების მ-ნზ კანონისა შეასრულონ ბავშვის ნათვლა უთუოდ ეკლესიაში, და თუ ეკლესია ციეია, ეკლესიის «სტოროჟების» სადგომში, ანუ მღვდლის სახლში, მაგრამ რიგიან ოთახში და ამით მოსპონ თავისებური და პატიემოყვარეობითი შედგენილი ჰაზრი თავისთავ-ზედ ზოგიერთ პირთა საზოგადოებაში. საჩივრისაგან ჩანს, რომ ბომბიანი მომზადებული იყო წესის ასასრულებლად, (რომელ წესის ასრულება, რასაკვირველია, იგულისხმება საიდუმლო ნათლისღებისა) მაგრამ უფრო მართალი იქნება, თუ ეიგულისხმებთ სასმელების და საჭმელების მომზადებას მომბიენისაგან სტუმრებისა და ნათლიებისათვის. ამისთანა ადგილას არ არის რიგი მღვდელი გამოცხადდეს ზეთით და მირონით, ჯვრით და შესამოსლით. ამას გარდა მღვდელს არ შეუძლია ეკლესიის გარდა შეასრულოს ნათლის-ღება საფუძველსა ზედა ლა კანონისა მეექვსე მსოფლიო კრებისა ადგილობითი მღვდელ-მთავრის ნება დაურთველად, რომელიც უნდა ახსოვ-დესთ მღვდლებს და ეუბნებოდნენ ყოველთვის, რო-დესაც დაჯინებით სთხოვენ მათ სახლში ბავშის მონათვლას. ყველამ იცის, რომ მეფის სახლობის გვარეულობის პირნი, როდესაც ინათლებიან, ინათ-ლებიან ეკლესიაში და არა სასახლეში. სასურველია, რომ მღვდლებმა უზენონ პირველი მაგალითი მრევლს ამ შემთხვევაში». ეს რეზოლიუცია განმარტებას აღარ საჭიროებს.

შეწირულებანი.

მ. რედაქტორო!

გთხოვთ ნება გვიბოძოთ, რომ თქვენის ჟურნალის «მწყემსის» საშუალებით მადლობა გამოვუცხადოთ როგორც მე, ისე ერეთვე რწმუნებულმა ჩემმა მრევლმაც იმ პირთ, რომელთაც შემოსწირეს სხვა და სხვა ნივთები ჩემდამო რწმუნებულ სანახშირის წმ. გიორგის და სალვინის ღვთისმშობლის ეკლესიებს. აი სრ-ნ შემომწირველთა:

მეორე გიდდის კაჭარის სარდიონ კანჩიღაძის მეუღლემ მარიამმა სხარების დასასვენებელი სტოლი, ღირებული ოთხი მანეთი; კოლეგესკი რეგისტრატორის ბეჟან თურმანიძის მეუღლე ბარბალემ დაფარნების ფასად სამი მანეთი; ელენტია თურმანიძის ასულმა ღვთისმშობლის ხატი, ღირებული ოთხი მან.; ხოდო სხარების გასაჭედად შემოიტანეს მღ. იაკობ გეგელ-

სიანის მეუღლა მარიამმა 1 მან., ავნაურის ზურაბ ტქიტიშვილის მეუღლა ანნამ 2 მან. აზ. დარისპან ტქიტიშვილის მეუღლამ დესპანემ 1 მან., ავნაური თალხან ტკიტიშვილის მეუღლამ ეშხანმა 1 მან., შეორე გიღდის კაკრის მნათის დარისპან მაღლაკელიძის შეუღლამ კასასიმ 1 მან., მეორე გიღდის კაკრის გარსეკან მაღლაკელიძის მეუღლამ მარიამმა 1 მან. მეორე გიღდი კაკრის მურზაკან მაღლაკელიძის მეუღლა ეფროსინამ 1 მანეთი, ბლეხმა გიგო მაღლაკელიძემ 1 მან., დითა მაღლაკელიძის მეუღლემ ელისაბედმა 1 მანეთი, მეორე გიღდის კაკრის ეფრემ მაღლაკელიძის შეუღლემ დარიკომ 1 მან., ბლეხის ნიკოლოზ ზიბზიბაძის მეუღლამ 40 კაპ. და მნათემ დარისპან მაღლაკელიძემ მცხოვრის სტი, ღირებული 6 მან.

მ. რედაქტორო! გთხოვთ აგრეთვე თქვენის ქურნალის „მწყემსის“ საშუალებით გულითადი მადლობა გამოუცხადოთ როგორც მე ისე მთელმა ჩემმა მრევლმა იმ პირთ, რომელთაც ჩემ მიერ გახსნილ სამრევლო „წერაკითხვის“ სკოლას შემოსწირეს შეგირდების დასაჯდომი სტოლები: ერმინე ლაზარეს ძე ეგინაკაძემ ორი სტოლი, ღირებული 10 მან., აზნ. იდეა წერეთელმა 2 სტოლი ღირებული 10 მან., მეორე გიღდის კაკარმა სარდიონ გაზგილაძემ 2 სტოლი, ღირებული 10 მან., ბლეხმა კოსტანტინე გეწაძემ 2 სტოლი ღირებული 10 მან. და საკლასო დაფის ფასად ხუთი მანეთი შემოსწირა კაკრმა სარდიონ მშვენიერაძემ სამი მან., მარიამ გეწაძის ასულმა იმაგე საგნისათვის 3 მან. ღმერთს გთხოვ ამისთანა კეთილი პირების რიცხვს თან და თან ემატებოდეს საკეთილდღეოთ ეკლესიებისა და სკოლებისა.

მღ. იაკობ გეელესიანი.

რედაქციის პასუხი.

მღვ. ა. არ—ლს. თქვენი წერილი შესახებ ქუთაისის სასულიერო სასწავლებლისა არ იბეჭდება.

უცხოელს. თქვენი წერილი შუნდობის ფურცლის შესახებ არაფერს არ გვეუბნება და ამიტომ არ იბეჭდება. ჯვარზე მიჭედილი ლურსმანის რაოდენობას სახარებაში წაიკითხავთ. ნუ თუ დღემდის არ გაგიგია კიდევ, რომ უმთავარდიაკვნოდ მღვდლებს შეუძლიათ წირვა? პარაკლისი ცოცხლის არის და პანაშვიდი გარდაცვალებულთა.

ბურულ მღვ. ა. ჯ. ნათქვამი ბევრია, მაგრამ საბუთიანი ძლიერ ცოტა, ამიტომ თქვენი სტატია არ იბეჭდება.

მღვ. დ. ჩ. თქვენი სიტყვა არ იბეჭდება. გამოცხადებული უნდა იყოს, სად თქვა სიტყვა და როდეს.

ԿԷՌԳՐԱՖԻԱՅԻ ՑԱՆԿԻՆ.

տարի	ամսվա	գրագիրքի	ջնջ	նոր գրագիրքը
Նոյտակեն	Դ	Ճ	Կ	Ճ
—	Ն	Պ	Ճ	Պ
—	ՆՆ	Դ	Պ	Դ
—	ԿՃ	Ն	Պ	Ն
—	ՊԷ	Բ	Ն	Բ
Հոկտեմբեր	Ն	Ֆ	Բ	Ֆ
—	ՆՃ	Ն	Ռ	Ն
—	ԿԷ	Նռ	Կ	Նռ
—	ԿԲ	ՆԿ	Դ	Ռ
Նոյեմբեր	Ճ	ՆԿ	Ճ	Կ
—	ՆԷ	ՆՃ	Պ	Դ
—	ՆԲ	ՆՊ	Պ	Ճ
—	ԿՊ	ՆԴ	Ն	Պ

Редакторъ и издатель Д. Д. Гамбашидзе. Лов. цензурою. Тифлисъ, 30 Іюля 1894 г.
Типографія редакціи (П. Д. Гамбашидзе) Въ Кутаисѣ, помѣщ. въ д. бр. Хананових на Нѣмецкой ул.